თამარ მეფის გამზირის N16ა

შენობის ინტერიერის ჭერის საღებავის ფენების, იატაკის ფილების და სხვა ღირებული ელემენტების კვლევა





კვლევის ავტორები

ნანა კუპრაშვილი
ოლიკო ხაჩიძე
ნუცა პაპიაშვილი

<u>სამშენებლო მასალების მინერალოგიურ-პეტროგრაფიული ანალიზი:</u>

მანანა კავსაძე



კვლევის მიმოხილვა

მოცემული დოკუმენტი ეხება თამარ მეფის გამზირის N16ა-ში არსებული შენობის ინტერიერის ღირებული ელემენტების კვლევას.

ადგილზე დაკვირვების პროცესში შესწავლილ იქნა სხვადასხვა სივრცეში შემორჩენილი ჭერის მოყვანილობა და დეკორატიული ელემენტები. შესწავლილ იქნა ჭერის სტრატიგრაფიული ფენები, იმის დასადგენად არის თუ არა შემორჩენილი ადრეული საღებავის ფენები ან ნახატი.

შესწავლის შედეგად მხატვრობის ადრეული ფენები არ გამოვლინდა, შენობის ცენტრალური შესასვლელი სივრცის ჭერზე (სივრცე N2) იკითხება დეკორატიული მოხატულობის ფრაგმენტები, რომლებიც შემორჩენილია ჭერის კიდეებზე.
იმ სივრცეებში, სადაც შენარჩუნებულია ჭერის დეკორატიული კარნიზი, იკითხება სხვადასხვა ტიპის დაზიანება. წარმოდგენილია ნალესობის ბზარები, დიდი და მცირე ზომის დანაკარგები. საფუძველს მოცილებული, არასტაბიური არეები, რისი გამაგრებაც მნიშვნელოვანია ინტერიერის რეაბილიტაციის პროცესში.
ჭერის კარნიზის თავდაპირველი შეფერილობის დადგენის მიზნით, აღებულ იქნა ნიმუში ლაბორატორიული კვლევისთვის, რის საფუძველზეც გამოვლინდა ჭერის თავდაპირველი ფერი.

ასევე ყურადღება გამახვილდა შენობის ინტერიერის რეაბილიტაციის პროცესში გამოვლენილ იატაკის ფილებზე, რომლებიც გვხვდება, როგორც პირველი სართულის ერთ-ერთ სივრცეში, ისე მეორე სართულზე. ფილების ტექნოლოგიური მახასიათებლების და მდგომარეობის შეფასების მიზნით, გაკეთდა ფილების ნიმუშების მინერალოგიურ-პეტროგრაფიული ანალიზი. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ გამოყენებული მასალა ყველა ნიშნით, წარმოადგენს იატაკისთვის განკუთვნილ მაღალი ხარისხის კერამიკულ ფილებს, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი სიმტკიცე და დამზადებულია მაღალტექნოლოგიური მეთოდით.
კვლევის ბოლოს მოცემულია ის ძირითადი რეკომენდაციები, რისი გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში.



ზემოთ და მარცხნივ: *შენობის ადგილმდებარეობა, თბილისის მერიის ერთიანი რუკა, 2020 წლის ორთოფოტო, წყარო: http://maps.tbilisi.gov.ge/*



ზემოთ: *შენობის ფასადი თამარ მეფის გამზირის მხრიდან,*
ფოტო აღებულია კვლევიდან „ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა თამარ მეფის გამზირი #16ა (ინტერიერის ადაპტაციის) პროექტისათვის“, ლ. ანდრონიკაშვილი, იანვარი, 2022

სივრცე N1 (I სართული)





ზემოთ: *სივრცე N1-ის ზოგადი ფოტო*



ზემოთ: *ზედაპირული ნადებით ნაწილობრივ დაფარული შავ-თეთრი, ჭადრაკული ფილების წყობა*





ზემოთ: *ნაწილობრივ გახსნილი ფილების ზედაპირი, დეტალი და მაკრო ფოტო*

სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს გამოვლენილი ადრეული იატაკის ფილები.
შავ-თეთრი, ჭადრაკული წყობის ფილები უმეტესწილად სრუადაა შემორჩენილი, ვხვდებით შემდეგი ტიპის დაზიანებებს: ნაწილობრივ დაკარგულ და გაბზარულ არეებს, საფუძველს მოცილებულ, არასტაბილურ ფილებს.
ფილები ამჟამად ნაწილბრივ დაფარულია ზედაპირული ნადების ფენით.

სივრცე N1 (I სართული)

ნიმუში 1 - მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევა



ნიმუში 1
შავი ფილა, I სართულის იატაკი (ჭადრაკული წყობა)







ზემოთ: *ნიმუშის აღების ადგილის ზოგადი და დეტალი ფოტო*



ზემოთ: *აღებული ნიმუშის ფრაგმენტები*

სივრცე N1 (I სართული)

ნიმუში 1 - მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევა

ნიმუშის პეტროგრაფიული შლიფის მიკროსკოპული შესწავლა
მაკროსკოპულად ნიმუში 18-20 მმ სისქის მუქი რუხი ფილა, დაფარული შავი მქრქალი ჭიქურით (2 მმ), ფილა განლაგებულია პორტლანდცემენტის სქელ ნალესობაზე (ცემენტის მჭიმის ნაწილი):





ნიმუში ბინოკულარის ქვეშ
ბინოკულარის ქვეშ ფილას ზედა შავი თხელი საფარი მკვრივ ჰომოგენურ მასალას წარმოადგენს, რომლის ნატეხარა საფეხურისებურ ზედაპირს ჰქმნის. ძირითადი მასა წარმოადგენს კრისტალიზებული მჭიდა-შემავსებლის მასალას, წმინდა იშვიათი ფორებით:









სივრცე N1 (I სართული)

ნიმუში 1 - მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევა

ნიმუშის პეტროგრაფიული შლიფის მიკროსკოპული შესწავლა

გამჭვირვალე პეტროგრაფიული შლიფის მიკროსკოპყული შესწავლით ნიმუში წარმოადგენს კერამიკულ მასალას: ნიმუშის ზედა თხელი ჭიქური ძლიერი გამოწვის შედეგად ნაწილობრივ გამინებულია, შეიცავს მინდვრის შპატებისა და კვარცის უწმინდეს მარცვლებს და წვრილ ბზარებს (კარგად ფიქსირდება პარალელურ ნიკოლებში), რაც დამახასიათებელია კერამიკული ფილების ჭიქურისთვის. ძირითადი ნაწილი წარმოადგენს მაღალკარბონატული ცემენტის მჭიდას საფუძველზე დამზადებულ მასალას, ცემენტაციის კონტაქტურ-ფორული ტიპით. შემავსებელში მრავლობს კირქვების, მერგელების, ქვიშაქვების, ლავების, მინდვრის შპატების, ვარცის მრგვლოვანი და კუთხოვანი (50-50-ზე) მარცვლებით. მასალაში არ ფიქსირდება ბზარები და ფრაგმენტული კარგვები. ყველა ნიშნით, ნიმუში იატაკისთვის განკუთვნილ მაღალი ხარისხის კერამიკულ ფილას წარმოადგენს:

















სივრცე N1 (I სართული)

ნიმუში 2 - მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევა



ნიმუში 2
თეთრი ფილა, I სართულის იატაკი (ჭადრაკული წყობა)







ზემოთ: *ნიმუშის აღების ადგილის ზოგადი და დეტალი ფოტო*



ზემოთ: *აღებული ნიმუშის ფრაგმენტები*

ნიმუშის პეტროგრაფიული შლიფის მიკროსკოპული შესწავლა

მაკროსკოპულად ნიმუში წარმოადგენს მუქი ნაცრისფერი 12-15 მმ სისქის ძირითადი ნაწილითა და 2-4 მმ სისქის ღია ნაცრისფერი ჭიქურით კერამიკულ ფოლას, რომელიც ნაცრისფერი პორტლანცემენტის საფუძველზეა დამაგრებული. ფილის ზედაპირულ ამოტეხვებს საფეხურისებურ-ნიჟარისებური ზედაპირი აქვს:





ნიმუში ბინოკულარის ქვეშ

ბინოკულარის ქვეშ ღია ნაცრისფერი არარეგულარული სისქის ჭიქურქვეშ არსებული ძირითადი ნაწილი მჭიდა-შემავსებლს კრისტალიზებულ მასალას წარმოადგენს, მაგრამ უფრო ფორიანია, ვიდრე ნიმუში 1 (შავი ფილა). ზედაპირული ჭიქური ჰომოგენური მასალაა საფეხურისებური ნატეხარათი:









ნიმუში 2 - მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევა

ნიმუშის პეტროგრაფიული შლიფის მიკროსკოპული შესწავლა

გამჭვირვალე პეტროგრაფიული შლიფის მიკროსკოპული შესწავლით ნიმუში წარმოადგენს კერამიკულ მასალას: ნიმუშის თხელი ჭიქური მაღალტემპერატურულად დამუშავებულ, ნაწილობრივ გამინებულ ჰომოგენურ მასალას წარმოადგენს (უფრო ჰომოგენურია, ვიდრე ნიმუში 1), მინდვრის შპატებისა და კვარცის ძალიან წმინდა, მტვრისებური თანაბრად გადანაწილებული მარცვლებით. ბზარები ძალიან წვრილია და ნაკლები რაოდენობითაა, ვიდრე ნიმუშ 1-ში. ძირითადი ნაწილი მაღალკარბონატული ცემენტის მჭიდაზეა დამზადებული, ცემენტაციის კონტაქტურ-ფორული ტიპით. შემავსებელი ნიმუში 1-ის იდენტურია. მასალაში არ ფიქსირდება ბზარები და ფრაგმენტული კარგვები, მაგრამ არის ფორები:













სივრცე N2 (I სართული) - ცენტრალური შესასვლელი სივრცე



შენობის პირველი სართულის ცენტრალური შესასვლელი სივრცე, სადაც შემორჩენილია ჭერის დეკორატიული კარნიზი და ფრაგმენტულად იკითხება მოხატულობის არეები. მოხარტული ჭერის მცირე ზომის ფრაგმენტები შემორჩენილია მხოლოდ ჭერის კიდეებზე.



ზემოთ: *სივრცე N2-ის ზოგადი ფოტო*



ზემოთ: *ჭერის დეკორატიული კარნიზის მოყვანილობა*





ზემოთ: *ჭერის კიდეებში შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტები*

სივრცე N3 (I სართული)





ზემოთ: *სივრცე N3-ის ზოგადი ფოტო*



ზემოთ: *ჭერის ამჟამინდელი მდგომარეობა*





ზემოთ და მარჯვნივ: *დეკორატიული კარნიზის მოყვანილობა*

არსებულ სივრცეში შემორჩენილია ჭერის გარშემო ასრებული დეკორატიული კარნიზი. ჭერის ცენტრალურ ნაწილზე არ იკითხება მხატვრული დამუშავების კვალი.

სივრცე N4 (I სართული)





ზემოთ: *სივრცე N4-ის ზოგადი ფოტო*



ზემოთ: *ჭერის ამჟამინდელი მდგომარეობის ამსახველი დეტალები, სადაც იკითხება ნალესობის ადრეული ფენები*



ზემოთ: *ჭერის ამჟამინდელი მდგომარეობის ამსახველი დეტალები, სადაც იკითხება ნალესობის ადრეული ფენები*

არსებულ სივრცეში არ იკითხება დეკორატიული კარნიზი ან/და მხატვრული დამუშავების კვალი. არსებული ნალესობის დანაკარგების არეებში იკითხება ადრეული ნალესობის ფენა, რომელიც მთლიანად დაკეჭნილია მცირე ზომის ღრმულებით. დაკვირვების შედეგად აღნიშნულ ფენაზე ადრეული საღებავის ფენა ან ნახატის კვალი არ იკითხება. ოთახის ჭერი საკმაოდ დაზიანებულია.

სივრცე N5 (II სართული)



მეორე სართულის იატაკის ფილები, რომლებიც არის პირველ სართულზე გამოყენებული ფილების იდენტური.
ფილები იატაკზე ჰორიზონტალური წყობითაა განაწილებული. ვიზუალური დაკვირვებით ფილების უმეტესი ნაწილი სრულადაა შემორჩენილი, ფრაგმენტულად აღინიშნება მცირე ზომის სრული და ნაწილობრივი დანაკარგები. ამჟამად ფილები დაფარულია ზედაპირული ნადებით.



ზემოთ: *სივრცე N5-ის ზოგადი ფოტო*



ზემოთ: *არსებული ფილების წყობა, დეტალი ფოტო*



ზემოთ: *არსებული ფილების წყობა, მაკრო ფოტო*

სივრცე N5 (II სართული)

ნიმუში 3 - მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევა



ნიმუში 3
თეთრი (მონაცრისფრო შეფერილობის) ფილა, II სართულის იატაკი

აღწერა:
შედარდეს ნიმუშ N1-ს, N2-ს.







ზემოთ: *ნიმუშის აღების ადგილის ზოგადი და დეტალი ფოტო*



ზემოთ: *აღებული ნიმუშის ფრაგმენტები*

სივრცე N5 (II სართული)

ნიმუში 3 - მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევა

ნიმუშის პეტროგრაფიული შლიფის მიკროსკოპული შესწავლა

მაკროსკოპულად ნიმუში პრაქტიკულად იდენტურია ნიმუში 2-ის, მაგრამ მისი სისქე 20-22 მმ-ია, საიდანაც 2 მმ ჭიქურზე მოდის, ანუ ჭიქური უფრო და მეტად რეგულირებული, ვიდრე ნიმუშ 2-ის. ეს, შესაძლოა, არ ნიშნავდეს განსხვავებული პერიოდის ნაწარმს, არამედ სტანდარტის ქარხნულ ხარვეზს წარმოადგენდეს. პორტლანდცემენტის ქვედა სამაგრი ნალესობიდან ფილა სრულადაა ატკეჩილი, ამიტომ პორტლანდცემენტის საფუძვერლი მოცემულ ნიმუშში არ ფიქსირდება. მოყავისფრო-ჟანგისფერი ნადები, სავარაუდოდო, პოლიმერული წებოს აპკის ფრაგმენტებია, რომელიც ფილებშორის სივრცეში ფიქსირდება. ნიმუშ 2-თან შედარებისას მაკროსკოპული მსგავსება აშკარაა:





ნიმუში ბინოკულარის ქვეშ

ბინოკულარის ქვეშ ნიმუში იდენტურია ნიმუში 2-ის:









სივრცე N5 (II სართული)

ნიმუში 3 - მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევა

ნიმუშის პეტროგრაფიული შლიფის მიკროსკოპული შესწავლა
გამჭვირვალე პეტროგრაფიული შლიფის მიკროსკოპული შესწავლით ნიმუში წარმოადგენს კერამიკულ მასალას, ნიმუში 2-ის მსგავს, მაგრამ ჭიქური უფრო გაბზარულია. ქვედა ნაწილი ნიმუში 2-ის იდენტურია:








სივრცე N6 (II სართული)





ზემოთ: *სივრცე N6-ის ჭერი, ზოგადი ფოტო*



ზემოთ: *დეკორატიული კარნიზის მოყვანილობა*



ზემოთ: *დეკორატიული კარნიზის მოყვანილობა*

მოცემულ სივრცეში შემორჩენილი ჭერის დეკორატიული კარნიზი. კარნიზის უმეტესი ნაწილი კარგ მდგომარეობაშია თუმცა ფრაგმენტულად აღინიშნება ნალესობის ფენის დაკარგული არეები.

სივრცე N7 (II სართული)





ზემოთ: *სივრცე N7-ის ზოგადი ფოტო*





ზემოთ: *ჭერის დეკორატიული კარნიზის მოყვანილობა*



ზემოთ: *ჭერის კარნიზის მაკრო ფოტო, თავდაპირველი ფერის დადგენის მიზნით ადგილზე გაკეთებული ზონდაჟი, სადაც იკითხება ღია მწვანე შეფერილობის საღებავის ფენა*

ჭერი დაყოფილია 9 ტოლ ნაწილად, ოთხკუთხედი მოყვანილობის ჭერის არეები მოჩარჩოებულია დეკორატიული კარნიზით. კვლევის საფუძველზე გამოვლინდა თავდაპირველი შეფერილობა (იხ. შემდეგი გვერდი).
სხვადასხვა არეებზე იკითხება დეკორატიული კარნიზის დიდი ზომის დანაკარგები, მცირე ზომის ბზარები, არასტაბილური არეები.

სივრცე N7 (II სართული)



ნიმუში 1
ჭერის დეკორატიული კარნიზი

დასკვნა:
სავარაუდოდ თავდაპირველი ფერი იქნებოდა ღია მწვანე საღებავის ფენა (ძალიან ბაცი შეფერილობის)

ქვემოთ: *ნიმუშის აღების ადგილის ზოგადი და დეტალი ფოტო,*
მარჯვნივ ზემოთ: *აღებული ნიმუშის ფრაგმენტები, ნიმუშის ფრაგმენტის სტრატიგრაფიული ფენები*
მარჯვნივ ქვემოთ: *ნიმუშის ანათალი, პორტატული მიკროსკოპით გადაღებული ფოტოები, 50x და 200x გადიდება*





ნიმუში 1 – საღებავის ფენების ლაბორატორიული კვლევა









სტრატიგრაფიული ფენები:

- ფენა 9: ვარდისფერი საღებავის ფენა
- ფენა 8: თეთრი გრუნტის ფენა
- ფენა 7: ღია ვარდისფერი საღებავის ფენა
- ფენა 6: თეთრი შეფერილობის გრუნტის ფენა
- ფენა 5: ღია მწვანე საღებავის ფენა
- ფენა 4: თეთრი შეფერილობის გრუნტის ფენა
- ფენა 3: ღია მოყვითალო მწვანე საღებავის ფენა
- ფენა 2: ღია ყვითელი საღებავის ფენა
- ფენა 1: ღია ყავისფერი შეფერილობის ნალესობის ფენა სილიკატური მინარევებით

რეკომენდაციები

- სრულად შენარჩუნდეს პირველი და მეორე სართულების ოთახებში არსებული ჭერის დეკორატიული კარნიზი;
- ჭერის და დეკორატიული კარნიზის არსებულ მდგომარეობაში დატოვების შემთხვევაში გაკეთდეს დეკორატიული კარნიზების და ჭერის ფერის სრული კონსერვაცია-რესტავრაცია, ან არსებული ფენები დაკონსერვდეს გასაჭიმი ჭერის ან თაბაშირ-მუყაოს ფილების ქვეშ;
- შენარჩუნდეს და დაკონსერვდეს პირველი სართულის ცენტრალური შესასვლელი სივრცის დეკორატიული მხატვრობის ფრაგმენტები (იხ. სივრცე 2, გვ. 11);
- შენარჩუნდეს მეორე სართულის სივრცე N6-ის ჭერის ცისფერი შეფერილობა (იხ. გვ. 18);
- შენარჩუნდეს მეორე სართულის სივრცე N7-ის ჭერის თავდაპირველი, ღია მწვანე შეფერილობა (იხ. გვ.19-20);
- შენარჩუნდეს და ზედა ფენების ქვეშ დაკონსერვდეს ჭერისა და დეკორატიული კარნიზის ადრეული საღებავის ფენები, შესაძლოა გამოყენებულ იქნას გასაჭიმი ჭერი, თაბაშირ-მუყაოს ფილები ან/და ზედაპირი დაიფაროს წყალშიხსნადი საღებავის ფენით;

დეკორატიული ფილები:

- მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ფილების მდგომარეობას, რათა სარემონტო სამუშაოების დროს არ მოხდეს მათი დაზიანება;
- სრულად გაიხსნას პირველ და მეორე სართულებზე გამოვლენილი კერამიკული იატაკი. მოხდეს ფილების ფრთხილი გასუფთავება ზედაპირული ნადებისგან, მოხდეს მათი ადგილზე გამაგრება;
- გაკეთდეს ფილების ნაწილობრივ დაკარგული, გაბზარული არეების ამოვსება მასალასთან თავსებადი, საკონსერვაციო ხსნარით;
- ფილების დაკარგული არეების აღსადგენად გამოყენებულ იქნას, არსებული ფილების შემადგენლობასთან და იერსახესთან თავსებადი მასალა;
- სარემონტო სამუშაოების პროცესში მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს სხვა სივრცეების იატაკის ქვედა ფენებზე, სადაც შესაძლოა ასევე გამოვლინდეს კერამიკული ფილების წყობა;